



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება საარჩევნო კანონმდებლობის მიმდინარე რეფორმის შესახებ

მიმდინარე კვირაში, საქართველოს პარლამენტი საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტს განიხილავს. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა დადებითად აფასებს საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. თუმცა, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ რჩება საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად. კერძოდ:

- **საარჩევნო დაგები** - საჭიროა პირდაპირ განისაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა.
- **წინასაარჩევნო აგიტაციაში არაუფლებამოსილ პირთა მონაწილეობის შეზღუდვა** - მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საარჩევნო კანონმდებლობამ ზუსტად განსაზღვროს, რომ სააგიტაციო პროცესი მოიცავს წინასაარჩევნო მოწოდებების გავრცელებას მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობით;
- **ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი**. პროექტით გათვალისწინებული მექანიზმები არ არის საკმარისი არსებული გამოწვევების დასაძლევად და აუცილებელია: (1) სააგიტაციო მასალის განთავსების შეზღუდვის დისტანციის გაზრდა 100 მ.-მდე, (2) იმავე რადიუსში ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ყოფნის აკრძალვა.

ამასთან, მიგვაჩნია რომ არსებობს საკითხები, რომელზე მუშაობაც მყისიერად უნდა დაიწყოს, კერძოდ:

- **საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი** - მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და კვალიფიკაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების არსებული „შერეული წესი“, გამოირიცხოს პოლიტიკური პარტიების მიერ კომისიის წევრთა

დანიშვნის შესაძლებლობა და ადმინისტრაცია დაკომპლექტდეს სრულად პროფესიული ნიშნით არჩეული წევრებით. ამასთან, მიზანშეწონილად მივიჩნევთ საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობის შემცირებას და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სავალდებულო სერტიფიცირებას შესაბამისი სასწავლო მოდულის მიხედვით.

- **ქალთა პოლიტიკური უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება** - ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, გენდერული კვოტის, როგორც დროებითი და საჭირო მექანიზმის მხარდაჭერა, თუმცა, არა შეთავაზებული 25%-იანი ნიშნულით, არამედ – 50%-იანი წარმომადგენლობის ვალდებულების გათვალისწინებით პარტიულ სიებში;

მიგვაჩნია რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და მთლიანობაში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. ლიბერალური აკადემია თბილისი
3. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
4. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
8. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"